



საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოის სუთაბათობით

ფასი 1 ლარი

ხელის მომრა: ტფილის, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიომების სახლების ზემოდ. № 5  
ქუთაის, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათი თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად... 6 მან. —  
თითო ნომერი ..... — 15 კაბ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს  
დასაბუღდათ გამოგზავნილ წერილებს.  
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

საძიებელი: I. საქართველოს მატიანე. — II.  
ომის ამბები. — III საზოლიტიკო მიმოხილვა. — IV.  
დიღოელების არეულობა და კახეთი (შემდეგი). — V.  
ბრძოლა ომის დასაბუღლობლად (შემდეგი) — VI  
განცხადებანი.

საქართველოს მატიანე  
(„ივერიის“ კორრესპონდენციები.)

გუბილამ — 31 აგვისტო. თუ რა ოამოღვნად სცვლის  
კაცს დროება, გამოცდილება და მაგალითები, ამას  
გვიჩვენებს შემდეგი შემთხვევა.

შირველად რომ მამასახლისების და სოფლის  
მმართველების ამორჩევა დაარსდა ჩვენს სოფლებში  
მაშინ ამოირჩია ჩვენმა კუნის საზოგადოებამ  
(ქუთაისის დაბლა 22 ვერსტზეა) ერთი კაცი  
მამასახლისად რომელიც გვარიანად ასრულებდა  
თავის თანამდებობას. ამას ის შემთხვევა  
გვიმტკიცებს, რომ იგივე კაცი წრეულსაც ამოირჩიეს  
მამასახლისად. მაგრამ ისრე სასიკვდინოდ ფერი  
ეცვალოს ჩვენს მტერს, ჩემო მკითხველო, როგორც  
ეს მამასახლისი წრეულს შეიცვალა. ვინ იცის,  
ეგება წრევანდელი წელიწადის ბრალია!.. ეს კაცი  
გაფიცხდა, მაგრამ როგორ გაფიცხდა?! საკმევლის  
ხესავით აენთო... მე გეტევით უჟღი ვერ შეკრიბა  
თუ, როდესაც მოითხოვეს უჟღი ორიოდე კაცის  
გამოსაწეობად დრუჟინისათვის.. თითო კაცისათვის

ას-ასი მანეთიც შეაგროვა წეს იარაღის გარდა!  
მაგრამ შეიდ-შეიდი თუმანი კი დაურიგა; და როდესაც  
ზოგიერთმა ანგარიში მოსთხოვა, გაფიცხდა, იმავე  
წეს სატუსაღოში აკვრევინა თავი თავგაამომდებელ  
გაფებს და ორი კეირის შემდეგ გამოუშვა, ეს იგი  
მაშინ, როცა დარწმუნდა, რომ აწი დააგიწევდებოდათ  
წინააღმდეგ ამათ.

„წითელის ჯვარის საზოგადოებისთვის უჟღის  
შეგრებაც თავს იდვა ჩვენმა მამასახლისმა და შეკრიბა  
კიდეც, მაგრამ... მაგრამ კამბეჩები იყიდა და ურმები  
გააწეო! ახლა კამბეჩებიც ჰქავს და ურმებიც, მაგრამ  
რა წაიღოს ზუგდიდში? — თივა — თივის წაღებით  
უჟღს კი მოიგებს, რადგან ერთს თრად გაპეტიდის,  
მაგრამ რითი იყიდოს ეგ თივა? — უჟღით. — სად  
არის უჟღი? — გლეხებს აქვთ: მაინც ხომ უნდა  
გარდაიხადონ გლეხებმა სახაზინო უჟღი, და ის  
არა ჰსჯობია, რომ ეს ეს უჟღი ეხლავე, ეს იგი,  
წინადღით, ვადაზედ უწინარეს შეიკრიბოს; იმით  
მამასახლისმა თივა იყიდოს, გასუიდვით უჟღი  
მოიგოს, მოგება თავისთვის დაიტოვოს და თავნი  
ხაზინაში გაგზავნოს? ძლიერ კარგი მოგონებაა?!  
შო, ერთი რამ კია დასაღონებელი: ღვდლის უჟღს და  
ხაზინისას ერთად ვერ შესმლებენ გლეხები, მაგრამ,  
რაუეთ? ზოგი გლეხებმაც გაიჭირონ გარდასახადი  
და ზოგი ღვდლებმაც მოითმონინ გლეხების  
გამდიდრებამდე. კარგი მოფიქრებაა?! რა უშავს?

ნახევარი წელიწადი ძლივ არის, რაც ეს კაცი მეორედ ამოირჩიეს მამასახლისად და, როგორც ხედავთ მკითხველო, და ქვემორეც დაინახავთ, ბევრი მოხერხება გამოიჩინა. ბევრს კარგს შემდეგ შიაც გნახავთ, თუ აქაუმა ბედმა მამასახლისის საკეთილოდ იმუშავა და არ გამოსწვალეს ამ სამს წლამდის და თუ ამასთანავე მისი საკუთარი სიტევებიც გამართლდა „რაც უნდა ეცადნეთ, ჩემს წინააღმდეგ ვერას გააწეობთო, რადგან მაზრის მმართველი მე მწეალობსო და „ზედ წამწამზედ უზივარო.“ მართლაც ერთმა გლეხმა უჩივლა ამ მამასახლისს, თავის საჩივარში უოველი მისი მოქმედება გამოამჟღავნა და ჭრის გარეშე, უოველივე გამოემიტიათ, რომ კუ ხი საზოგადოების ერილობას ჭეშმარიტება ეჩვენებინა. გამომმიებელიც მობრძანდა, მაგრამ...ჯერხანობით ხალხი ძლიერ ნანობს, რომ ეს კაცი მამასახლისად აირჩია. ნანობს მეთქი, მაგრამ ჯერ გერაფერი გაუწევია.

ამ მამასახლისის ხრიკებს ვინ ჩამოჰსოვდის?

ერთიც კიდევ. ჩვენში ერთი გლეხის ცოლი მარჩიელობდა (მკითხაობდა). ეს რომ მამასახლისმა გაიგო, დედა-კაცს დაჭრა და დატუსაღება დაუშირა, მკითხავირათასარო, როდესაცესცრუ-მორწმუნეობაა და ძლიერ მავნებელიაო. დედა-კაცს შეუთვლია: „მე წამალს ვიძლევი და თუ არ მომირჩენია, იმით ჯერ არავინ მომიკლავსო. ამას ჩემი მეზობლებიც დამტკიცებენო.“ — მაშ თუ აგრეა, მე შემიძლია, შენ ექიმობაც დაგიმტკიცო, თუ... (აქ ჩირობაა). ახლა ეს დედაკაცი მამასახლისის ბეჭდით დამტკიცებულის ქაღალდით ექიმიც არის და ფერშალიც! აგრე ჭხობს ჩვენი მამასახლისი ცრუ-მორწმუნოებას სოფლებში! საწყალი სოფლები კი ამას იმახიან: „მევცოდეთ ბატონებთ, რომ ეს კაცი მამასახლისად ამოვირჩიეთ, და შეგვინდვეთ და გამოგვაცელებინეთ!“

**ჯიხაიში—** 30 აგვისტო. ოქმა აღარ უნდა, რომ ჩვენში შეოლების გამართვა და სამუდამოდ დადგინდება ჯერ კიდევ მნელი საქმეა; სოფლი შეოლების

მასწავლებლები რამდენად უადგილებენ სოფლებებს ამ მნელს საქმეს და შეოლების დღეგრძელობას ხელს უწეობენ ამას შემდეგი შემთხვევა გვიჩვენებს.

ჯიხაიში (ქუთაისის დასავლეთით არის) რაც სასოფლო შეოლა გაისხნა, ახლა მეორე წელიწადია ამ შეოლას აქამომდე ქუთაისის სასულიერო კლასში კურს დასრულებული ემაწვილი კაცი ჭავე მასწავლებლად—ს. შენგელია ეს კაცი, მის მაგიერ რომ შაგირდებს და მათ მამებს საჭირო წიგნების უიდა გაუადვილოს, — ექვს მაურიან წიგნები ცამეტ-ცამეტ შაურს დებულობს.

მისი შაგირდები დილაობით წიგნებთან ერთად ხის თოფსაც მიათრევენ, რომ უფ. შენგელიამ შაგირდებს, „ნალევა“ და „ნაპრავა“ ასწავლოს სხვათა გასაკვეთთა შორის. ახლად შემოსულს შაგირდს თუ ორ აბაზიანი წაბლის ხის თოფი არ ექნა, შეოლაში არ მიესვლება. ამ ხის თოფებს ერთი დურგალი აკეთებს ჯიხაიშივე, რადგან გამორჩეობას ხედავს.

მუშაითობა (გიმნასტიკა) რომ კვირაში ერთხელ ჭრინდებს შეოლას ხომ კარგზედ შეტყი იქნება, მაგრამ სხვა გარდასახადებთან კიდევ რომ ორ-ორი აბაზი და ზოგჯერ ოთხიც ხის თოფისთვის ზედ წაედვას გლეხს ზურგზე, — ეს ვერაფრად მოუხდება გლეხის ჯიბეს.

მარტო ახალს ზედადოღებზე ვერ დაუუმნებული უფ. შენგელია და მეელებისთვისაც ჩამოურთმევია შემდეგი: ემაწვილებს დანაშაულისათვის ბამბის ძაფით და ისიც დამსალით აბაშს სტოლის ან სეამის ფეხზე; თუ ემაწვილს უეცრად მაფი შემოაწედა, მაშინ კი სიმინდის ან ლობიოს მარცვლებზე უნდა დაიხოჭოს.

ზარმაცობის გასაკვეთად შაგირდები თურმე შორის არ მიდიან, რადგან ზარმაცობის მაგალითს მასწავლებლივე ჭოულობენ.

საზოგადოებას ეს უოველი შეტყია; სამდურავის მეტი ჯერ არა ისმის რა. ესეც კარგია მით, რომ სამდურავს ზოგჯერ კარგი საქმეც შეუდგენს ხოლმე. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზედადოღად დაბადებული კაცები (უფ. შენგელიაც ხომ მათის გვარისა უნდა იქოს...) რაც უნდა უეოთ უარგისობისა გამო, —

მაინც პედაგოგიას თავს არ დაანებებენ. ესეთია იმათი წესი უფ. ს. შენგელიაც, თუ ჯიხაისში გულს მოაუგანინებენ, სხვაგან გარდავა მასწავლებლად, რადგან მე და ოქვენ, მკითხველო, ვერ შევეცილებით შეუძლებლობისა გამო და სხვების (მოცილების) უმეტესი ნაწილი და იგივე შენგელიები არიან.

### გაპვრით

საშინელი ჭირიანობა არის თითქმის მთელს კახეთში როგორც საქონლისა, კერძოვე ხალხისა. ბევრს ოჯახისშვილს დაბაინა ამ წეველმა ჭირმა ხელი თავის საქონლიდგან. საითაც კი გაივლით ეხლა სოფელში, გზას ვერ აუქციებო მკვდარს საქონელს, ასე რომ იმათ საძაგელს სუნს გულშეუდონებლივ მნელად მოპრჩებით, თუ პატარა მგრძნობარე უნისვის პატრონიცა ხართ, მკითხველო. ჭირი უფრო გრცელდება, რადგანაც მკვდარი ჭირიანი საქონელი სოფლის ორდობებში არის გაძლილი, საღაც დადის უავათმეოფო საქონელიც. მალიან გასტირებია დალოცვილს ადგილობითს მთავრობას, რომ აუკრძალოს ჭირიანი მკვდარი საქონლის გაძლა შიგ შეაგულს სოფელში!. არ ვიცი, რას უურებს და რას უცდის აქაური მმართველობა. ერთის სიტყვით ეველა უიმედოთდა არის ქნა საქონელზედ და უველა პსცილობს გაპჟიდოს როგორმე, თუნდა მრიელი იუფათაც.

საქონელი, თორემ ხალხს კი განა ხეირი დაევარა წლეულ პეხეთში! ჯერ უვავილმა და წითელამ გასწევიტა ხალხი და ახლა სისხამ დაუთავა ხელი. ხომ ასე გაევლო მუსრი კახეთსა და უურეთ ჩვენის მხრის დოკტორების ოლიმპიურს არხეინობას! მაგრამ იმათ არ ენაღვლებათ, — ქარგი ჯამაგირი არ აკლიათ და ტბილი აუმღვრევული ცხოვრება!

### ×

მე საშინლად მეჯავრება ერთფერობა და ერთსახობა. წეველმა ჩემმა ბედმა იცის ესე და ცდილობს ეოგელთვის, საცა წაგალ, ერთი და იგივე სანახაობა დამახვედროს. ამ ჩაფეულს

ორჯერ მომიხდა ფშაველალისურზედ (სოფლებია თელავის უეზდში) გავლა და ორჯერვე ერთი და იგივე შესანიშნავი ამბავი დამხვდა: ჩაფარი ჰშვლებავდა გლეხებს ჩერქეზულის მათრახით. დასწევლა ღმერთმა, ჩემს ფეხზედ მოპხდება ხოლმე ამ სოფლებში ეს უბედურება, თუ სულ ესე არის? მინდოდა მესამეთაც გამეარნა ამ სოფლებისაკენა, მაგრამ ვაი თუ ჩემის გავლით კიდევ შესვენებინა გლეხები ჩაფრებისათვინა! დაიმინე, თელავის მმართველობავ, ჩაფრების მათრახები და გლეხების ჭურგები კარგ ნანას გეუბნებიან!

### ×

თუ ზოგან თელავის მაზრაში ეოჩაღობენ ჩაფრები და მამასახლისები, ზოგან კი ისინი სულ დამბლაები არიან და ამათ მაგივრათ ეოჩაღობენ სოფლის მწერლები. აი მაგალითებრ ახმეტის მწერალს დიაკვანს ვასილ მაღალოვს ისე ჰქავს მამასახლისი და სუდიები დამონავებულები, რომ როგორც უნდა, ისე წააუგაინებს საქმეს და თუ იმის სიტყვა არ დაიჯერეს დაპლანდავს თურმე სუდიებ-მამასახლისსა და გამოვა გარეთ. მოდი და ნუ დაპთანხმდებიან ისინიც თავიანთ მწერლის სიტყვას!

### ×

ცალ-ცალებე მოჩიგარი ბატონს მართალი ეონათ... სწორეთ რომ ასეა და ამის გამო სიმართლის პოვნა ქვეეანაზედ მრიელ მნელია! აი მაგალითებრ თელავის სასულიერო სასწავლებლის წევრი და მეუმწნავე (ეპთომოსი) მღვდელ მ. ხელავარი, რომლის აუარებელ პატიოსნებაზედ და საზოგადო საქმისთვის განწირულებაზედ მოგითხოვთ „ივერიის“ „კორტეგსათნდენტი „. . .“ (იხილე „ივერიის“ 27 №). ორგან-სამგან მითხრეს, რომ ამ საზოგადო საქმის მომტირნეს ადამიანს სასწავლებელისათვის ხელთსახოცის (სალუტების) პირები შემოუკერვინებია თავისის მეუღლისათვის და თვითეულის შემოკერებაში თითო აბაზი უძლევია იმავე სასწავლებლის ფულიდამ. აბა მითხარით რომელს ერთს დაუჯეროს საწყალმა მკითხველმა?

### ×

თათარი ჯერ თავს არ მოიფხანსოდა თუ მოიფხანს, სულ მოიგლეჭავსო, ამბოს ერთი ანდაზა თათრებისა კი აბა რავიცი, და ჩვენს კახელებზედ კი შეიძლება ესე ვსთვათ:—კახელი ჯერ თავს ვერ მოიფხანს და თუ მოიფხანს, სულ მოიგლეჭს. აი მაგალითებრ, რისგამო ვამბობ ამასა: ამ ხუთიოდე თვის წინათ სად იქვენენ კახელები? ქვევრის მირში ემინათ. წელიწადში ორ-სამ კორტესტონდენციას ვერა წაიკითხავდით გაჭეთშიდა ეხლა კი ლამის არის აღარავინ მოასვენონ თავიანთის უვირილით. ეს მალიან კარგია. მაგრამ ზატარა ხანს უკან უეურე, როგორ მიიმინებენ „ქართველები.“ „ქართველურად ჩვენებურად.“

დ. რ.

თელავი 1 ქნებისთვეს.

(ქმედი ქედი).

**ოზურგეთი.** 3-ს ენ ქენისთვეს.—არ ველი ენ ქენის-თვე როგორც მოგეხსენებათ, გურულებისთვის განსაკუთრებითი მნიშვნელობის დღეა: ამ დღეს ისინი დადეგს ემახიან იმ მოსაზრებით, რომ მველათ ამ დღიდამ იწევბოდა ახალი წელიწადი. წინადამით ერთის უვირილით, ლოცვით და თოფის ცემით მიეგებებიან ამ დღეს და ახლაც როცა თმიანობაა და მტრის ჯარი კარზედ გვიდგა, არ დაივიწევს გურულებმა ეს ჩვეულება, რისგამოც ახირებული მდგომარეობა წარმოსდგა. წარმოიდგინეთ ის დრო, როცა ბინდი ეცემა და დღე და დამე ერთმანეთს შორდებიან და მასთან ძლიერ მოშინებული წვიმა, იმ ხასისხამდის რომ კაცს კარში გამოსვლა უმნელება, ამასთან დაურთვევით ერთი ვაჟა, კიქინა და ვაის და უის უვირილი და თან ახქარებული თოფის ცემა უელა სოფლებში და უელა ოჯახში ერთი და იმავე დროს, და მამინ მიხვდებით, თუ რა ახირებული ფეთქია და ემართებოდათ იმათ, ვინც ეს ხალხის ჩვეულება არ იცოდა განსაკუთრებით ამ დროში, როცა თვალური გაფარიცებით გვიჭირავს და არ ვიცით როდის რა დაგვემართება.

აბა რა იცოდენ, თქვენი ჭირიმე, რუსის აფიცრებმა, თუ გურულები ამ თოფის გვახა-გვუხით თავიანთ „ზაკარებს“ და „მავნე სულებს“ ემუქრებოდენ და აშინებდენ!

საუბედუროთ უელა იმათგანი ამ დროს გაბნეული იქვენენ თავ-თავიანთ ბინებზედ აქა-იქ, უმეტეს ნაწილათ ქალაქის მოშორებით და რასაგირველია ეგრედ გაფანტულებზედ უფრო ძლიერ იმოქმედებდა ეს ახირებული სროლა. ბევრი იმათგანი, ფერ-ძიხდილი გარბოდენ ამ დროს თავთავიანთ უფროსებისგენ და თან გვარწმუნებდენ, რომ „ტრევოგაც“ ისმისო. რადგან ეს ჩვეულება ერთობ მავნებულია გურულებისთვის, ამისარვის არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას იმის თაობაზედ: ამ დადგის წინა დამეს აქ „შეფუცების“ დამეს ემახიან და უელა ოჯახის უფროსი გადღებულია წარმოსთვას ხმა მაღლათ ეფირილით ხალხში ერთხელვე მიღებული ლოცვა და თან თოფიც მიაუღდოს. ეს ამბავი ამგვარათ მოხდება ხოლმე: უელა სახლის უფროსი შუაღამის დროს გამოდის გარეთ, ეზოში, გამოაქვს თავის მასროლო იარაღები და გასმახის ისე, თითქო მეუმინი ემახოდეს ხალხს მინარეტიდამ სალოცველად და თან ამ სიტყვებს წარმოსთვამს:

„მიღმართელნო, მოღმართელნო,

შორებელნო, ახლობელნი!

თქვენი სვით და თქვენი ჭამეთ,

ჩემსას ჯვარი დამიწერეთ!

ჯვარი აქა! ჯვარი აქა!“

და თან ისე დაიწივლებს, რომ ტანში ქრეანტელი აგივლ-ჩაგივლის და მოპევება თოფის სროლას. ამას „გადამახებას“ ემახიან. ამ ჩვეულებას უელა ისე ასრულებს ახლაც როგორც ასის წლის წინად, თუმცა მისი დიდი მნიშვნელობა ბევრს გურიაში ისე აღარ ჰსწამს, როგორც უწინ ჰსწამდათ. მაგრამ იკითხავთ, რას მოასწავებს ეგ „გარდამახება“ და სარგებლობა მოაქს მას ხალხისთვისათ? სარგებლობა სრულებით არაუკრი, გნება კი ერთობ ბევრი. აი რა რიგად: ეველა გურულს ჰსწამს, რომ ზოგიერთი კაცი და ქალი, როცა მოხუცებიან, მავნე სულებათ იქცევიან, „ზაკარებისათვებით,“ რომელთაც გუდიც გამოებმეგათ, თვალიც „შეგებთს“ და თან შეიმენენ იმ გვარ თვისებას, რომ ადგილათ გარდაიქცევიან, —თუ მათ ჰსურთ, — სხვა და სხვა გარეულ და შინაურ შირუტევებათ, ფრინველებათ და ისე დასტრიალებენ ქვეეანას, რომ გნება რამ მოუტანოს. მათი უფროსი, „როგორ“ ხალხისს გონიერაში წარმოდგენილია, როგორც

ერთი მეტათ გადაბერებული, მასინჯი დედაკაცი, უკელა გრძნობებით და მანქანებით საჭეთ, რომელსაც უთვალ-უანგარიშო ქვეშვრდომები ჰყავს დედამიწაზე. ეს უკანასკნელები მზათ არიან მოიტაცონ ქვეუნიდგან პაცის სულები, ან შინაური ბირუტევები, ან სხვა რაიმე ნივთები ხალხის ცხოვრებაში გამოსადეგი თავის „როგანის“ შესაწირავად. რაც შეწირულ იქმნება ორგანიზაცია, ის უთუოთ, თუ ცხოველია, მოკვდება, თუ უსულო საგანია-ფუტდება და ხდება. ამისთვის საჭიროა გურულების აზრით, ბირველათ ზემოხსენებული ლოცვა და თოფის სროლა, მეორე ის, რომ უკელა თჯანის შვილმა თავი „შეიძექდოს“ ესე იგი მიიკრას თავზე ათხს ადგილას ჯარად წმინდა სანთელი; აგრეთვე შებეჭდოს უკელა შინაური ბირუტევები, ფრინველები, სახლ-კარი, უანები და სხვაშიან თჯანში საჭირო საგნად ითვლება. და მესამედ-მთელ ამ დამეს ფრთხილად უნდა იქოს მთელი სახლობა. თუ შესაძლოა, არ უნდა დაიძინონ, რომ „ზაგვაზები“, რომელიც გამმაგებული დარბიან მთელს დამეს კატისა, ან სხვა რომელიმე ცხოველის ან ფრინველის სახით, არ შეძლებაროს ოჯახში მსხვერპლის მოსატაცებლად. გურულ გლეხ-კაცს, რომ ჰქითხოს კაცმა ის დაჯერებით გეტევის, რომ ბეჭრჯელ უნახავს ამ დამეს „ზაგვაზი კაცები“ გარეულს ტახზე, ან მგეღზე, თუ ტურაზე გადამჯდარი, აგრეთვე ფრინველების სახით მოსულნი თჯახში მსხვერპლის წასაევანად. უკელა გურულს გულში გარდაწვეტილი აქვს, რომ რომელიმე მისი მეზობელი „ზაგვაზი“ ხშირად მთელს სოფელს ამოხემებული ჰყავთ სახეში ზოგიერთი ქაცი გითომ „ზაგვაზები“ არიანო. აბა წარმოიდგინეთ შეწამებულის გაცების მდგომარეობა. ეგრედ შეწამებული თუ მიუათვაის მეზობლისას რაიმე საქმისათვის შეზობელი უთუოდ მისს დანახვისა თანავე სამჯერ გააფურთხებს, ბირჯვარს გადიწერს და თან წარმოსთქვამს სამჯერ: „დალახეროს ღმერთმა“. მკელ დროში კი არა, სამოცი წელიწადიც არ იქნება მას აქედ, რაც გადავარდა ჩვენში ამ გვარ ბრალდებულ გაცების „დადაღვა“. ეს დადაღვა მდგომარეობა იმაში, რომ გახურებულის შანთით-რკინით ამოსწვიდნენ ტანზე, „ზაგვაზს“ ჯვარის სახეს და ამით გითომ ერთმევოდა ზაგვაზს

მალა გნებისა. ერთი მეტად სამაგელი შედეგი ამ ცრუ მორწმუნებისა მდგომარეობს იმაში, რომ უმეტესი ნაწილი გურულებისა დაჯერებულია, რომ თუ „ზაგვაზები“ არა, არც ერთი მმიმე სნეულება ქვევანაზე არ იქნებოდა და ამ დაჯერების გამო თუ ვინმე მმიმე ავათმეოფია, ის და მისი ჭირისუფალნი გარდაწმვეტით ფიქრობს, რომ ეს ზაგვაზის მეზობლის ბრალია. ამისათვის უკელა ღონისძიებას იხმარებენ ხოლმე, რომ შიშით არ ქრთამით მოიმადლიერონ იგი, და დაალოცვინონ ავათმეოფი მდგდელის თანადასწრებით. შემდეგ ამისა ჭირისუფალნი და თვით ავათმეოფიც გულდინჯად არიან, რომ მათ მოსპეს სნეულების მიზეზი, ამ დალოცვის ზეობითის გავლენითა. ეს მავნე ცრუ-მორწმუნეობა სთესავს განხეთქილებას, მტრობას მეზობლობაში, რომლის შედეგად ხშირად სისხლის ღვრაც მოხდება ხოლმე, მადლობა ღმერთს, რომ ეს უმეცრული რწმენა თან და თან გამოდის ხალხის ზნეობიდამ ამ უკანასკნელ დროს.

იოსებ თაყაიშვილი.

## ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი .

6 ენკენისთვეს იზმაილ-ფაშას გაუმართავს მთებზედ სოფ. ხალვალისა და ხომხაბარის პირისპირ ბატარეიები და ზარბაზნების სროლა დაუწყვია ღენერალის ტერგუკასოვის ჯარისათვის. 8-ს შუადღის სამს საათზედ ოსმალოს ჯარს სოფ. ხალვალის და ზემო ჩარუხისაკენ წამოუწევია ამ სოფლებზედ დასაცემად. მაგრამ რუსის ჯარს არ მიუშვია და უკანვე გაუბრუნებია. მტერს დიდი ზარალი მისცემია თურმე. ჩვენის მხრით დაჭრილა ბაკინსკის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ივანოვი და გაკაწრულა იმავე პოლკის კაპიტანი კავალევსკი. ჯარის კაცთა შორის შვიდი მოკლულია და ოცდა-ათი დაჭრილი.

ამავე დღეს 500-მდე ბაში-ბუზუკს მდ. არაკწისაკენ გაუწევიათ, მაგრამ რუსის ყაზახებს უკანვე გაუბრუნებიათ.

— შუა დაღისტანში რომ არეულობა მომხდარა თითქმის მთელს ღუნიბის მაზრას მოსდებია, და 30 მარიამობისთვეს აჯანყებულნი რუსის წვრილ-წვრილ კამანდებს დასცემია. ახმო-მახლო ადგილებიდამ ჭარი გაუგზავნიათ, რომელსაც თ. ნაკაშიძის გუნდიც მიშველებია. ამ ჭარს 8 სეკტემბერს არეულობა შეუყენებია, თუმცა აჯანყებულთ მიერ დაბრკოლება დახვედრიათ. იმ სოფლებს, რომელნიც მდ. კარაკოისუზედ მდებარებენ, მორჩილება გამოუცხადებიათ. ჩვენის მხრით დაჭრილთა და მოკლულთა რიცხვი ოც-და-შვიდი ჭარის კაცია.

ზემოხსენებული აჯანყება კახეთსაც დაეტყო თურმე, ასე რომ ლაგოდეხის ახლო-მახლოლები გადმოსულან. აქ მდგომს ჭარსა ღონისძიება მიუღია, რომ მცხოვრებთ ლეკების დაცემა ააცილონ.

— 5 ენკენისთვეს შიპკის გარდასავალში ატეხილა საშინელი ბრძოლა. ოსმალები წმინდა ნიკილოოზის სიმაგრეს დასცემიან. რუსებს ღენერალის რადეცკის წინამდომლობით გაუმარჯვნიათ და ოსმალები უკანვე გაუბრუნებიათ. ორსავე მხარეს დიდი ზარალი მისცემიათ. ჩვენის მხრით დაჭრილთა და მოკლულთა შორის 31 აფიცერია 1,000 (ათასი) ჭარის კაცი.

9 სეკტემბერს ოსმალებს ხელმეორედ დაუწყვიათ ზარბაზნების სროლა წმ. ნიკილოოზის სიმაგრისათვის.

ამავე დღეს ოსმალები ცერკოვნისასაც დასმიან, მაგრამ სრულებით უნაყოფოდ. ამ საქმეში რუსის მხრით მოკლულთა და დაჭრილთა შორის ოცი აფიცერია და 400 ჭარის კაცი. ოსმალოს მხრით კი ათასამდეა.

— გაზეთს **Новое Время**-ს ჰსწერენ ბუხარესლი-დამ, რომ პლევნა გარშემორტყმულია ჭარითაო

და სულეიმანისა და ოსმან-ფაშის შორის გზა შეკრულიაო.

— პლევნას, როგორც მოგეხსენებათ, გარს რუსის ჭარი არტყავს ასე რომ ოსმალ-ფაშის ჭარი სრულებით დამწყვდეული იქმნებოდა ერთი გზა რომ არა ჰქონდეს სოფიაზედ. რუსები რასაკვირველია ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ როგორმე ეს გზაც შეუკრან. ამისათვის დანიშნულია ცალკე ჭარი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს, რომ ამ გზით არავითარი შემწეობა არ მოუვიდეს ოსმან-ფაშას. 8 სეკტემბერს გრაფი შტაკელბერგი თავისის ცხენოსანის ჭარით ამ გზაზედ სოფ. რახიტასკენ დაძრულა და ოსმალოს ცხენოსანს ჭარს დაჰვედრია და დაუმარცხებია. შემდეგ შტაკელბერგს დაუნახავს რომ ოსმალოს ცხენოსანს გუნდს ქვეითა ჭარიც მოსდევს, და უკანვე დაბრუნებულა. 9 სეკტემბერს პოლკოვნიკს ტუტოლმინს სოფ. ტელიშთან ოსმალოს ჭარი დაუნახავს და ზარბაზნების სროლა დაუწყვია და მით შეუყენებია ოსმალო.

— 9 სეკტემბერს ოსმალოს ჭარი ცერკოვნას დასცემია და ცხარი ბრძოლა გაუმართავს. რუსის ჭარი ღენერალ ტატიშჩევის წინამდომლობით გამარჯვებულა. ჩვენის მხრით მოკლულთა შორის ექვსი აფიცერია და სამოცი ჭარის კაცი. გარდა ამისა ოცი აფიცერია დაჭრილი და სამასი ჭარისკაცი. ოსმალოს მხრით მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ორი ათასია.

— ჩერნოგორიელები, როგორც მოგეხენებათ, ძალიან იმარჯვებენ ამ ომიანობაში. ნიკშიჩის აღების შემდეგ მთელი ღუჯის გარდასავალი (ჰერცოგოვინიდამ ჩერნოგორიაზედ) მათ ჩაუვარდათ ხელში. ეხლა გაჩკოს (ჰერცოგოვინაში) მისდგომიან.

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.** საკვირველს სანახაობას წარმოადგენდა თურქე შარიქი ტიურის დამარცვის დღეს. მრავალი ხალხი მოგროვილა ტიურის გასასვენებლად და ამასთანავე არა ვითარი უწესოება არ მოუწევია. წერა ასი ათასი სული დაიძრა და ხმის ამოუღებლად, დარბაისლურად და მოწიწებით გამოჰყევა მიცვალებულს სასაფლაომდე. მხოლოდ ოჯებე მოისმა ხმა, „გაუმარჯოს რესუბლიკასათ“ და შეწყდა. ამ გვარად მოიქცა შარიქის ხალხი, რომელსაც აქამდისინ უკეთ უკურებდა, როგორც მაშტოთარს, მოუსვენარს და უოლის არეულობის ადვილად ამეოლს. ამ რიგიანის ქცევით შარიქის ხალხმა სირცხვილი მოჰკვარა მაკ-მაგონის მთავრობასა. მაკ-მაგონის მთავრობა აქამდისინ, როგორც მოგეხსენებათ სულ იმას იძახდა, —საფრანგეთი რადიკალებით არის საგსეო, მათგან იღუშებათ და უსათუოდ უნდა საფრანგეთი მათგან დაგიხსნაო, ამისათვის მას მალიან უნდოდა, რომ შარიქი ტიურის დამარცვის დროს უწესოება და არეულობა რამ მომხდარიულ და მით შემთხვევა მისცემოდა ხალხზედ ხელი გამოედო ვითომდა საზოგადოების დასაცველებად. ამისათვის კარიც ბლობად დამზადებული ჰქვანდა შარიქის ახლო-მახლო. მაგრამ მოუცდა: შარიქის ხალხმა გაუმტესენა სამარცხვინო მოლოდინი მთავრობას და ცხადად დაანახვა უველას, რომ ხალხს სხვა წადილ-მიზიდველობა არა აქვს რა, გარდა თავისუფლებისა და კანონიერობისა, რომელთა მოდალატე თვითონ მთავრობა არის. სადღაა ის მთავრობის მომხრე გაზეთების სიამაუე, რომელიც გულახდილად ქადაგობდა რესტუბლიკის დაღუშვას და მონარხის დადგენას! მათმა სითამაშემ მალიან იყლო, იმიტომ-რომ შარიქმა წესიერობის მაგალითით თვით უჩვენა მთელს საფრანგეთს: იგი თითქო ეუბნება ხალხს—„ძალა და სამართალი შენექს არის და რიღასი უნდა გემინოდეს; შენს სურვილსა და ნებას არავითარი ძალა ქვეენიერებაზედ წინ ვერ გადადგება.“ შარიქი კუტია საფრანგეთისა და ამიტომაც მის მაგალითს დიდი მნიშვნელობა აქვს და უქმნება კიდევ მომავალ არჩევანში, რომლის გადაწყვეტილება რესტუბლიკის სასარგებლოდ ეხლა საქმეო არ უნდა იქოს.

იგივე გონიერება გამოიჩინა შარიქის ხალხმა

გამბეტის საქმის თაობაზედაც. რაღა თქმა უნდა, რომ დიდმალიხალხიუნდამოგროვილიერსასამართლოში ამ საქმის მოსახმენად, მაგრამ მთავრობამ თავისი გაცემი დააუქნა ქუჩაში სასამართლოს წინ და არაზინ არ ჟეუმბა. აბა თუ ხალხს მოთმინება დაჭვარგოდეს და რითამე გაემუდავნებინოს თავისი გულნაწევნობა! ხალხი თუმცა გულნაკლული იურ, მაგრამ მაინც დუმილით და მშვიდობიანად გახერდა ქუჩაში და ისე ხმამოუღებლივ ელოდა საქმის დაბოლოვებას. საწუენი კი ბევრი რამ იურ ხალხისათვის. უველასთვის ცხადია, რომ ამ შემთხვევაში გამბეტას სასჯელში მიცემა საპოლიტიკო საქმეა, და ამ გვარ საქმეთა განხინება უველოთვის საჯაროდ იურ ხოლმე და უველას ნება ჰქონდა დაესწროს და თვით მოისმინოს საქმის გარჩევა. „უველაშ იცისო, ამბობს ერთი კორესტონდენტი, რა უოფით და რა ამბით განავებდნენ ამ გვარს საქმეებს თვით რესტავრაციის დროსაც; გაიმართებოდა ხოლმე დიდი კამათობა სიტევითა, ერთიცა და მეორე მხარეც არ ზოგავდა თვის მჭერმეტესელობას: სამსაჯულოს ფართო ოთახში მოიერიდა ხოლმე თავს დიდმალი ხალხი, რომლის შორის სარჩინებულს ქალებსაც ქარითა ჯეროვანი ადგილი.

„ესლა კი ამგვარი საქმე რომელიც თვის ჯეროვან ადგილს დაიწერს ისტორიაში, გარჩეულ იქმნა თითქმის კარჩაგეტილს ოთახში. კარჩაგეტილში მეტე, რადგანაც ქურნალისტების გარდა სამსაჯულოს თოახში ოცნდა-ათ კაცზედ მეტი არ იურ.“

აბა როგორც არ უნდა ჰსწუენოდა შარიქის ხალხს ეს ამისთანა უსამართლო განკარგულება მთავრობისა. მაგრამ ერთხელ კიდე ბარაქალა მის ხერხიანობის. არ აქვა წევნასა, არ აფეთქდა, თითქო გულში ჰსთქვა: მე ვიცი რითაც და როდესაც გადუხდი სამაგიეროსაო გარდა ამისა მთავრობამ მეორე განკარგულებაც ინება: გაზეთს აუკრძალა სასამართლოს განხინების დაბეჭდვა. სადამოს გაზეთები, რომლებმიაც კი აწერილი იურ გამბეტას საქმე, ჰოლიციამ გამსეიდვებს წაართვა და უკრა მაგრამ ერთის საათს უკან მთავრობამ მოისაზრა ამ განკარგულების უგუნურება და ის გაზეთები ისევ დაუბრუნა შატრონებსა გასასუიდლად.

— ადრევაც მოგახსენეთ, რომ ტიური საჭირო იურ საფრანგეთისათვის, როგორც მაკ-მაგონის მოცილე და იმავე დროს რესტუბლიკელთა დასის ზომიერი

წარმომადგენელი. ტიერი რომ გარდაიცვალა კულა მონარქიელებს იამათ—აბა ეხლა ვიღას წარმოაუენებთო. რესპუბლიკულებმაც მიუთითეს გრე-კის, გარდაუენებულის დეპუტატთა ზალატის თავმჯდომარეს. გრევის, რასაკვირველია, იმისთანა სახელი არა აქვს, როგორც გამბეტას, ან ტიერსა ჰქონდა. გრევი არის გულწრფელი რესპუბლიკელი, სინიდისიანი და ზატიოსანი კაცი. თუმცა მას მხოლოდ მაღალი ხარისხის საზოგადოება იცნობს და არა დაბალი ხალხი, მაგრამ ამ ხალხისათვის ისიც საჭმაოა, რომ რესპუბლიკელ გაზეთებს გამოჰყავთ იგი მოედანზედ და გამბეტასაც ბევრჯელ ქებით მოუხსნია საჯაროდ მისი სახელი.

ამბობენ, რომ გრევი უარზედ არის — რესპუბლიკულთა მეთაურობას ვერ ვიცისრებო.

— საწელი მაკ-მაგონი! ბორდომიაც იმ გვარადღე  
ციგად დახვედრია ხალხი, როგორც — თუ გახსოვთ—  
ევრეში. ქალაქის მოთავე თითქმის იმავე სიტყვით  
მოეება, როგორც ევრეში. თითქმის ასი ათასი  
კაცი გაპეიოდა მაკ-მაგონის წინაშე: „გაუმარჯოს  
რესტუბლიკისათვის.“ ბორდოდამ არკაშონში მიყიდა  
და უფრო უარესი დღე დაადგა: თითქმის მთელი  
ქალაქი გამოცვილდა მარშალის მისაგებებლად და  
დაინახა თუ არა მაკ-მაგონი ერთხმად დაიგრიალა:  
„გაუმარჯოს რესტუბლიკისათვის.“ ბორდოში რო  
დაბრუნდა იმავე სახილით შეეგება ხალხი, ასე რომ  
როდესაც მოედანზედ მრავალი ხალხი მოვროვდა,  
შოლიციამ ჯარი მოიწიგა და უბმანა ხალხი  
გალალეთო. რამდენიმე კაცი დასჭრეს კიდევ, მაგრამ  
ხალხმა არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია ჯარს  
და გზა დაუცალა, თუმცა მაინც თავისას კი იძახდა:  
„გაუმარჯოს რესტუბლიკისათვის.“

ბორიდოს არხიერებისკონტაქტსმა სწავლა შორის  
შემდგები სიტყვა მიუკო მაკ-მაგონს: „თქვენი საქმე  
ბოლომდისინ გავიაღვილდებათ პაპის ლოცვით და  
კურთხევით, ომელიც გულწრფელის სიეპარელით  
არის აღსაგვერ საფრანგეთისადმი“....

ମାତ୍ରତଳାଏବ କାହିଁ ତୁମ୍ହେ ଶ୍ରୀଦୟଗ୍ଭୀ ଉତ୍ସବାମ୍ବେ  
ସାଫ୍ରାନ୍‌ଗ୍ରେଟିକ୍‌ ପାତଲୋକିକ୍‌ରା ହିନ୍ଦୁଶ୍ରୀ: „ଏହାରତକେ,  
ଜୂହାଲ୍‌ଲୋ, ସାଫ୍ରାନ୍‌ଗ୍ରେଟିକ୍‌ରେ ନେଇଥିରେ: ଏହାରତକେ ମିଳିବା ମଧ୍ୟରେଣ୍ଟିବା...“

ერთის სიტყვით განმაც აკურთხა მაკ-მაგონის მმართველობა. შესანიშნავი ის არის, რომ გაზეთს ინგლ-ში, რომელიც იხსენიებს ეოველს სიტყვას მაკ-მაგონის წინაშე წარმოოქმულს, არ არის მოხსენებული ბორბოს არხიერების კონტოსის სიტყვა

— არჩევანის დროც თითქმის კარზეა მოძღვანი  
და ამის გამო მაგ-მაგონს მანიფესტი გამოუცია  
საფრანგეთის ხალხისადმი, რომელშიაც შემდგენი  
აზრია გამოუვანილი: „რადიკალობის წარმატებამ  
იმულებულ მეო გადამეუწებინა ხალატი და  
სელახლად მომეკითხა ხალხის სურვილი. მე  
უარვპულფ დავარდნილს ხმას გითომ მე რესპუბლიკის  
გაუქმება მსურს. მე გთხოვთ თქვენ, ფრანციელებს,  
ამოირჩიოთ იმისთანა კაცები, რომელნიც ქვეენის  
სარგებლობისათვის ზრუნავენ. მე მტკიცედ აღვიარებ,  
რომ არ დავემორჩილები დემაგოგის წადილსა  
და ხელიდგან არ განვადებ იმ თანამდებობას,  
რომელიც მე ხალხის კრებამ მომანდო....იმ გვარის  
ხალატის ამორჩევა, რომელიც ჩემის მთავრობის  
მოწინააღმდეგე იქნება, მხოლოდ უბედურებას  
მოასწავებს როგორც საფრანგეთის შინაგან  
საქმეთათვის, ავრეთვე მის გარეშე საქმეთათვისცა.“  
ერთის სიტყვით უთუოდ ჩემი მოხაწონი გაცემი  
ამოირჩიეთო, თორემ ავ დღეს და გაერთოთ. ხალხი  
რასაკვირველია ხაუჭხად ამას მიუგებს: შენ შენი  
ინაგვლე, თორემ ჩვენ არ გვიშავს რაო.

— ეველასათვის ცხადია, რომ მთავრობა მწოდოდ  
იმიტომ სდგნის, გამბეტას რომ როგორმე  
არჩევანამდე არ მიუშვას და თუ შეიძლება მოუკვეთოს  
არჩევანის უფლება. მაგრამ გამოხენილი იურისტები  
ამბობენ, რომ რაც უნდა ააჩქარონ საქმეო და მაინც  
სასამართლოს განკარგულებას გამბეტის საქმის  
შესახებ, 16 ოკტომბერზე ადრე კანონიერი მალა არ  
მიყვემათ, ასე რომ გამბეტა მაინც და მაინც მიიღებს  
მონაწილეობის არჩევანში, რომელიც, როგორც  
მოგეხსენებათ, 14 ოკტომბერს უნდა მოხდეს.

მოქლოდა გამბეტისაგან—თუ როგორ უნდა შეუდგნენ არჩევანის საქმეს. აქ იქო შეერთილი უკელა ხარისხისა და წოდების კაცი. სენატორიდამ მოქლებული უბრალო მუშამდე. ტანსაცმელშიაც დიდი სხვა და სხვაობა იქ: დიდ-კაცობა თავისის „მუნდირით“ იქო და მუშა თავისის ბლუზითა. გამბეტამ მე, როგორც უცხო-ქვემნების, პატივი დამდო და დიდხანს არ მალოდინა და ერთმა მისმა სეკრეტარმა მემიუვანა მისი კაბინეტი. გამბეტამ მიმიღო უბრალო საშინაო ტანისამოსით. შევედი თუ არა მკითხა: „რას ფიქრობს ნებენცის ხალხი საფრანგეთზედ? პსურს გერმანიას თმი თუ არა? „მე მივუკე მას, რომ ჩვენში უფელს გონიერს და მმრომელს კაცს თმი დაბურობლად რისამე ეთაკილება და ეჯავრება და გერმანიას მშვიდობიანობა პსურს. მაგრამ თუ წინააღმდეგ სა ვინმე მის მფლობელობას, გერმანია თავს გამოიდებს ადგება, როგორც ერთი კაცი მეთქი. გამბეტას მალიან კარგად ესმის გერმანიის მდგომარეობა. ჩვენ საფრანგეთში მხოლოდ მშვიდობიანობა გვსურსო“ მითხრა გამბეტამ. საფრანგეთის სოციალისტებზედ გამბეტა მალიან მშვიდობიანად ლაპარაკობდა. მისის აზრით სოციალ-დემოკრატები უფრო საშიშნი არიან გერმანიაში, ვიდრე საფრანგეთში, რადგანაც საფრანგეთის მუშა ხალხი უფრო მშვიდია, წინ-დამსედავი და ამასთანაც სამშობლოს მოვეარეა“.

**ავსტრი-ვენგრია.** სწორედ მოგახსენოთ ამ ქამად, საფრანგეთის გარდა, უკელა სახელმწიფოში სახოლიტიკო ცხოვრება თითქო შემწევია. გაზეთები ავსტრიაში არიან ომის ამბებით. ზოლიტიის შესახებ კი ახალი არა არის რა ან არის რა და თუ არის რამე ჩვენამდე ვინ მოაღწევინებს. აი მაგალითებრ ანდრაშის და ბისმარქს ერთმანერთი უნახავთ და რადაც მოლაპარაკება ჰქონიათ. ახლა მოდი და გაიგეთ რაზედ ჰქონიათ ლაპარაკი. ამბობენ რომ მეომართაშორის შერიგების ხამოგდებაზედ და ამისათვის შეამდგომლობაზედ ჰქონიათ ლაპარაკი. მაგრამ ჯერ რა დროს მშვიდობიანობაა, თუ შენ იტევი, მკითხველო.

გარდა ამისა ამბობენ, რომ ავსტრი-ვენგრიის პოლიტიკა აღმოსავლეთის საქმის შესახებ შეიცვალა, რადგანაც სერბია დღე-დღეზე ომს აშირობს და ავსტრია კი უურსაც არ იბდერტსო, თუმცა ადრევ კი სერბიას აბრკოლებდათ. ჯერ ეს უნდა

მოგახსენოთ, რომ თუმცა სერბია დიდ შზადებაშია, მაგრამ ომს კი არ უცხადებს ოსმალეთს. გარდა ამისა ამბავი მოვიდა, რომ სერბია გაზაფხულამდე ომში არ ჩარევათ, და გაზაფხულამდე ხომ ბევრი კოკა წეალიც დაიღვრება. ომში გარევას ავსტრია უშლიდა სერბიას თუ სხვა ვინმე,—ამაზედ საქმაოდ თქმულა „ივერიაში“. ენდა რაღად ბრკოლებება სერბია? ვინ უშლის? იქნება ენდა საქმე ისე დატრიალდა, რომ ავსტრია (რასაკირველია გერმანიაც) სერბიას არ ამლევს ომის ატენის ნებასა!....

— სლოვენები ჩივიან მთავრობას ჩვენი განემენტება სურსო. სახალხო სახურავებლებში აკრძალულია თურმე სლოვენურის წიგნის ხმარება და ნემენცური წიგნია შემოღებული. სახალხო ლექსტებიც აკრძალულია თურმე. მასწავლებელი იმულებული არიან ბავშვებს ნემენცურად ელაპარაკონ. გაზეთებს ეშინიანთ თურმე ამ საგანზედ ლაპარაკიც არ მოგაშლევინონო.

### დიდოელების არეულობა და კანკეთი

(შეტყობი)

12 თბილვეს. გათენდა და სოლლაც გათავდა. ავხედეთ-დავხედეთ ერთმანეთს: ბევრმა ამოვიოხრეთ და გულზედ ხელი დავიკარით. — მოგაგონდენ დედა, ცოლი, შვილი და სხვა. რამდენიმე სანი დაწრილებს და მიცვალებულებს დაუსტრიალდით, — უველას თავ-თავის ადგილი მიეცა, — შემდეგ უკელა დამშვიდდა, თითქოს აქ არა უფილა რაო. ასე პსცოდნია თურმე ომს: ბირველი ხმა უფილა შექმარავს კაცს, — მერე კი თუნდ ათასი აკურო თქვენს ახლო, — თითქოს არაფერიო, კაცი აღარასფერს აინუნიაც არ იგდებს. გამარჯვებულები აღტაცებაში იუვნენ, დამარცხებულები თავ-ჩაღუნულნი დაღონდენ. ჩვენებ შორის მომატებული ზიანი ტფილისის ადგილობრივის ზოლების ბატალიონს მიეცა, დანაშთენს ჯარში მაგთვენი არა დაზიანებულდა რა: ერთი თუში მოკლეს, მეორე დაიჭრა და როგორც ამბობენ ჩვენების ტევით იუო დაწრილიო, ორი სალდათი თელავის და სიღნაღის ადგილობრივის კამანდებიდამ დაწრენენ სუბუქად, მოკლეს სიღნაღის კამანდის აფიცერი თ. კოტე ჩერქეზიშვილი და

\*) „ვერა“ № 27 და 28.

შირველის სოტნის ასის თავის თანა-შემწე თ. სოსიკო ჯორჯაძე მოქვდა დაწრილობის გამო (ამბობენ ესეც ჩვენების ტექირით იქო დაწრილიო). თ. კოტე ჩერქეზიშვილი ამ ბრძოლაში სულ წინ ედგა თავის კამანდას: სროლა გათავდა და სრულიათ შევიდობიანად იქო, მაგრამ იმის საუბედუროდ ერთი სალდათი იმათვანში, რომელიც სერჭედ იქვენ დაწვენილები და თოფს ესროდნენ მტერს, წამოდგა ფეხედ; თ. ჩერქეზიშვილი მივიდა იმასთან და შესტუქსა, რადგან უმის ნება დაურთავთ წამოდგა. ამ დროს არ გასულა ერთი წუთი, უცებ გადიქცა ეს მართლად ერთადი და ეგველასაგან პატივსაცემი კაცი. უღმერთო ტექია თვალში ჰქონდა მოხვედრილი, მაშინათვე სული დალი საცოდავმა. თ. სოსიკო ჯორჯაძეს სოტნა მთის მირში იქო, —ამ გასურებულ სროლაში, —არ ვიწი იმიტომ რომ შექშინებოდა, თუ იმ აზრით, რომ უფრო უშიშარს ადგილს დამდგა არიყო, — გამოქანებულიერ თავის ადგილიდამ ბანაკისაკენ და ამ დროს მოხვდა თურმეტევია ფერდში, — მეორე დღეს ამ საცოდავმაც სული დალია. დანარჩენი მაუფროსექები მართლად რომ კარგად და მტერიცედ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ჯარის სარდალი, თ. გიორგი ჯორჯაძე შირველივე დაწებიდამ—ვიდრე სროლა გათავდებოდა იმეოფებოდა მეტად საშიშ ადგილის, ე. ი. ბატალიონის წინ, — სადაც უფრო მომართული იქო მტრის ცეცხლი. ამბობენ თავადს გიორგის თეთრი რუსული ქუდი თურმეტეულა და ამ დროს ერთი ერთგული იმისი ბიჭი მიგარდა უცებ, თეთრი ქუდი მოპხადა და იმის სამაგიეროდ შავი ფაფახი დახურა.

ამ შემთხვევისაგამო ბეჭრი რამ ითქვა საბუთიანი და უსაბუთოც. ზოგი ამბობდა თურმე, რომ ეარაულები არ იქნენ მორიგებულნიო, ზოგი რომ მეტად ცეცი ადგილი იქო ამორჩეულიო და ზოგი იმასაც კი ამბოდნენ, რომ ამ გვარი ლეგების დაცემა მოხდა სურვილისა გამო ერთის იქ მეოფის შირისაო. ამისთან ბატალიონი ამბოდნენ, რომ ამ გვარი ლეგების დაცემა მოხდა სურვილისა გამო ერთის იქ მეოფის შირისაო. ამისთანა ჭორები ჩვენს საზოგადოებაში ხშირია და ვგონებ ეველა ეს ისე უსაფუძვლოა, რომ შასუნის გებათაც არა დირს. მე მხოლოდ ეს შამიძლიან გსოფა, რომ უკეთესი ადგილი იმ მხარეს არ იქო; მართალია, — ცოტა მოშორებით შეიძლებოდა გაშლილ მაღალ მთებზედ დაეცენებინათ ჯარი, მაგრამ არც შემა, არც წეალი არ მაიმებნებოდა და ვინც იცის იქაური ამინდი, დამეთანხმება, რომ ნახვებარი ჯარი სიცივისაგან იუმნება თუ არ გასწერებოდა, — ავად

დახდებოდა მაინც. ან ალაგმა რა ქმნას, — თუ თვითონ წერილი მეუფროსოები გამოცდილები და ფხიზლები არ იქმნებიან. ლეკის ჯარი იმოდენა ჭიანს მის დღეში გერ მოგცემდა, თუ გველა ეარაულები ფხიზლად ეოფილიევნენ.

ამამბავზედაირაშევიტეეთ ნამდვილის ცნობებიდამ: ასახოველებს, რა შაეტერთ ჯარის მოხვლა, მაშინათვე დატრიალებულიევნენ თავისებურად, — მოეგრევებინათ 300 კაცამდე, — გამოეძლოლათ წინ ზოგიერთი ხუფროელები, რომელნიც იმ საღამოს ჩვენთან მოვიდნენ და წამოსულიევნენ ლაშქრად. ძალიან ფხიზლად დაეცევრათ ჩვენი ეარაულები და რა ენახათ რომ უგელგან, გარდა იმ ადგილისა, საცა ბატალიონს ედგა ეარაულები, ფხიზლად ეოფილიევნენ, უგელგან ცოტ-ცოტა ხალხი დაეგდოთ და მომატებული ნაწილით კი მოხდგომოდნენ ბატალიონის ეარაულების. მისულიევნენ ლეკები ეარაულებთან, რომელიც კარგ მაგარ მილში თურმე იქნენ და თოფები ცალკე ჰქონდათ ჯვარედინად აუგდებულები. ჯერ თოფები წაედოთ, შემრე მოევლოთ ხელი მინამდინარევ-ცხრაერაულისათვის, ჩაეთრიათ შატარა დაბლა და გამოქმნარ უცები. ამით, რა თქმა უნდა რომ გზა გაეხსნათ. მისდგომოდნენ მემრე მეორე რიგ ეარაულების, შაეტივნათ თუ არა, ისე დამფრთხელიევნენ, რომ თოფიც ვეღარ დაეცალათ, მხოლოდ ცოტა ოდენი ჩოქოლა შექმნილიერ. — ეს ხოხქოლი სხვა ეარაულებს შაეტერთ, ერთაშად დაეხალათ თოფები ჩვენებსაც და ლეკებსაც, მაგრამ ლეკები უფრო მარდა დამუშავდებულენ. ლეკებს დაეცათ თუ არა თოფები, მაშინათვე შეცვინილიევნენ ბირველს ბატალიონის რაცმში და რამდენიმე სალდათი დაეჭრათ ხანჯლით, ამის შემდეგ ერთხამათ ასტედა სროლა უკეთ მხრივ რომ ვერას გახდნენ ლეგები, მაცვიდნენ მაშინათვე ტექში, უფროდა უფრო გაიმართა სროლა, რომელმაც გასწია მთელი ორი საათი. იმ ღამეს დაიხოცნენ ის ცხრა კაცი ეარაულები (ვისი ბრალია?), რომ სხვა და ორიც ზემოხსენებული ჩერქეზიშვილი და ჯორჯაძე. სინიდისიანად გამხილავი კაცი მალიან ადგილად გაიგებს, რომ აქ იმისთანა შესანიშნავი და მოულოდნელი არა არის რა და აგრეთვე იმასაც ახსნის სწორედ, — თუ რად დაიხოცა ამდვენი ხალხი. მე დარწმუნებული ვარ, ეარაულებს რომ არა სძინებოდათ — ჩვენგანი ერთი კაციც არ დაზარალდებოდა. ნუ თუ ეარაულობს რომ ემინათ

მტერი ამისა გამო წინ წამოუვიდათ, ადგილის  
ბრალია? ნუ თუ მინდორზედ რომ კოფილიუვნენ,  
უფრო უსაშიშრო ადგილას, არ შეიძლებოდა ქსევე  
მომხდარიელ? რა არის აქ გასაკვირველი და მეტად  
შესანიშნავი, — არ მესმის!... მტერთან მივედით,  
მტერი დაგვჭრა. რა გასაკვირველია! მე სრულებით  
ვერ წარმომიდგენია — რა ღრმა მილში უნდა  
კოფილიუვნენ ეს კარაულები, რომ ტექში სიარულის  
სხა, ალბათ რამდენიმე კაცისა და არა ერთისა და  
ორისა, ვერ გაიგეს? მემრე რა უსწორ-მასწორო,  
საშინელი დიდი ფერდობიანი ტექ იქ! მთელს ამ  
ფერდაზედ გამოეფინა მტერი, გამოიარა ამოდენა ტექ  
და გერგაუგეს, ისიც ვინ გერგაუგეს, — კარაულებმა!....  
კარგი გაწურთნულები არა კოფილან. რა ქმნას აქ ან  
ადგილმა, ან განკარგ ულებამ, — ან სხვამ?

აი ესე გახდდად ეს საქმე. მეორე დღეს გაგწერიკეთ  
ტექის ნაციონული, უკელა მხარეს მრავალი სისხლი  
და გასისხლიანებულის პაციენტის ნათრევი სჩანდა,  
ტექილოდა, ომ ლექებს თავიანთი დახმოცილები  
საჟორიფათ და კლდეში ჩაჟარათ. ჩვენი  
დახმოცილები იქვე ტექში უკარნენ და მივეცით მიწას.  
შემდეგ ლექებმა გვიამბეს რომ მტერი შესანიშნავად  
დაზიანებულიერ. რამდენიმე ხანჯალი და სამოსელი  
მტრისა ადგილობრივ დაგვრჩა. შესანიშნავი ეს არის,  
რომ ის ხუფროელები, რომელიც იმ დამეს თითქმის  
მტრის ბეჭადებად იყვნენ, შემდეგ თავისუფლად  
დასეირნობდნენ თ. ნაკაშიძის ჯარში, მაგრამ იმათ  
ხმას არაგინ სცემდა.

13 და 14 თბილებეს. რადგან დაჭრილები გასასტუმრიი  
იქვენებ და სურსათიც მოსატანი გვქონდა და იმიტომაც  
რომ ასახოს მოკლე გზა სხვა იქო, ჯარი ამ დღეს  
ამოვიდა ბერგოლეის მთაზედ. აქ ერთი დღე დაისვენა  
ჯარმა, დაჭრილები და ცხენები სურსათისათვის  
გამოვისტუმრეთ კახეთში. ზოგი ნაწილი ჯარისა  
სარდალმა აქვე დასტოვა მოსაცდელად იმ ხალხისა,  
რომელნიც სურსათისათვის წავიდნენ, დანაშთენი  
ჯარი გაემგზავრა ასახოსაკენ. ს. ხიტრახოში  
მშვიდობიანად ჩავედით, ხალხი სოფელს გარედ  
ხეობაში დაგჭვდა და სალაში მოვცა. აქედამ  
გადგიარეთ ხიტრახოს მთადა გადავეშვით ასახოსაკენ.  
თოთხმეტს თიბათვეს ნაშეუადის შირველს საათზედ,  
მივედით სოგახის მთაზედ, რომელიც მდებარებს  
ასახოს გამოდმა და შაუერთდით ზოლეოვნიერის თ.  
ნაკაშიძის ჯარსა.

ჯარი დიდი შაიებარა, — მაგრამ ვისთვის და რისთვის? თრასიოდე წუნქალა დიდოელებისათვის. მე სწორე მოგ ახსენო, შამლცხვა როდესაც დაგინახე, რომ ამოღენა ხალხს ადგენდნენ ამისთანა საქმისათვის. ნუ თუ თრასია — სამას კაცს და რამდენიმე სოფლის დაწვას — თრი გუნდი ჯარი უნდოდა? მემრე რა ხალხთან უნდა ჰქონდათ ბრძოლა, — ხალხთან, რომელთაც არც რიგიანი თოვები აქვთ, — სარდლები ხომ არა პეტყოთ და არა, — არც საკმაო საზღვრ, არც წამალი და არც არაფერი. წარმოდგენილი მაქვს — რამოდენი დაუჯდა მთავრობას ასახოს დაწვა და თრასის კაცის და დედა-კაცის დაპერობა!!!!..

15 თამათუეს. — ჯარი — თანხმად მიცემულის  
სარდლისაგან ბრძანებისა, — ორ ნაწილად გაიკო:  
ერთი ნაწილი წავიდა ასახოს დასაზღვრავად, მეორე  
ნაწილი განიმართა ს. ქიმებისაკენ. იმ ნაწილს,  
რომელიც ასახოსკენ წავიდა შეადგენდა ქართული  
მილიცია და ერთი როტა რუსის ჯარი, — მეორე  
ნაწილს შეადგენდა: რუსისა და ლეპის ჯარი, თუმის  
მილიცია და არტილერია. ჯარი, რომელიც წავიდა  
ასახოსაკენ, დამდგარიულ ასახოს-ზირ-და-ზირ ხევ  
გამოღმა. ლეპის გამოდიოდნენ თურმე სოფლის  
ზირას და უშვერის ზირით ლანძღვდნენ ჯარს, —  
ჭოვიერთი 1, 200 ნაბიჯამდეც მოსულიურ და იქვე  
მსხვერპლად დარჩომილიურ ბერდანის ტევისაგან.  
მეორე ნაწილს უფრო მეტი ჯაფა დაადგა: ს. ქიმები  
მდებარებებს ერთს მაღლობ სერზედ და შესდგების  
რამდენიმე ქვითკირის სახლებისა და ციხისაგან,  
— რომელნიც ჯგუფად არიან ერთმანეთზედ  
მიშენებულნი. ჩვენ ჩავედით მთიდამ, რომელიც ამ  
სოფელს დაჰურებს. ზირ-და-ზირ მისვლა სოფელზედ,  
რა თქმა უნდა უგუნურობა იქმნებოდა, რადგან არ  
გიცოდით, თუ რა სიმაგრები ჰქონდა სოფელს ანუ  
რამთვენი ხალხი იუთშიგ. მხოლოდ რა მიუახლოვდით  
განახეთ, რომ ბანიდამ ბანზედ და ციხიდამ ციხეში  
გადადიოდა და გადმოდიოდა რამდენიმე კაცი. კარგა  
მახლობლად ზარბაზნები მიუუნებს, დანაშთენს თრ  
მსარეს ჯარი შამოუსხდა, ისე მომორქებით, რომ ჩვენი  
თოფი მისწვდებოდა და იმათი კი ვერა, მესამე მხარე  
კი ისე დარჩა. დაიწეო ზარბაზანმა თავისი საქმე, —  
მაგრამ, სწორე მოგაახსენო, ზარბაზნის ქუჩილმა  
უფრო მეტი გაარიგა, ვიდრე იმის ტევიამ. კარგა  
ბლობათ ესროლებს, მაგრამ ერთი მცირები კუთხის  
მეტი ვერ მოურდვიეს ერთს ციხეს, — სხვებს ხომ  
ტევიად არ მოჰქვედრიათ. ქუჩილმა იქაურობა აიკლო.

წარმოიდგინეთ ოთხი ზარბაზნის ხმა იმ კლდეში რააშბაგს დააწევდა. ლეგებს, რომ ჰსცოდნოდათ, — როგორც ჰქუმებს, ასე არა სწავიმსო, — გარწმუნებთ, რომ ის ზარბაზნები ერთს კვირას აც ვერას გააწეობდნენ, მაგრამ იმ საზარელმა ხმამ და იმოდენა ჯარის ჯგუფმა გაუხეთქა ლეგებს გული. დავინახეთ, რომ ხუთიოდე ქაცი გაცეიგდნენ იმ სოფლიდამ იქითა მთაზედ და იქიდამ უეურებდნენ სეირს. ზარბაზანს მაინც ესროდნენ. რა რიგად დაგვინებდნენ ის ლეგები, რომ ტეუილად ვფანტაგდით ტევია-წამალს ცარიელს სოფელზედ. იმ ხუთი კაცის მეტი, — ჭაჭანება თურმე არ იქ. ბოლოს მოსწეუინდათ ზარბაზნის სროლა და მგონია მიხვდნენ კიდევ, რომ იქ არავინ იქ, — დაუმახეს თ. ნაკაშიძის ჯარის ლეგებს: ავარელებს და ინდიელებს იერიშით მიდითოთ, — მაგრამ შენც არ მამიკვდე ფეხიც არავინ გადგა. რუსის ჯარი მმიმედ წამააწვინეს სერებზედ, — თითქოს ერთი 20,000-ჩიან რაზმს ებრძვიანო. განიმეორეს ბრძანება მეორეთაც, მაგრამ მაინც ავარიელ-ლეგებმა ფეხი არ გაინძრიეს: „რასა ბრძანებთო, ჩეენ ვკიბძანებთო.“ ბოლოს თ. გიორგი ჯორჯაძე უბძანა თუშებს მისევდა. თუმცა ისინიც დაუღმანდნენ, მაგრამ მაინც გაიტეხინეს გული და მისცვიგდნენ. ავარელებმა დაინახეს, რომ სოფლიდამ თოვებიც არ გამოვარდა, — იგრიალებს და სულ თავზედ დაქცხნენ თუშებს. დასოცილი ცხვრების მეტი სოფელში არა გამოხნდა რა. ერთი რაღაც სამარწმვინო ბაირადი იმოვეს თუშებმა, დაინახეს ეს თუ არა ავარელებმა — დაუწეს ჩხუბი, — არა ჩვენ წინ მივეღით, არა ჩვენაო, მოუვიდათ ტლეკვა და თვითონ ჩვენებმავე, ესე იგი თუშებმა და ჯარად მეფოქმა ლეგებმა სრისეს ერთმანეთი მუშტით, სანამ მე და შენ მივემველებოდით, მკითხველო. ბოლოს ავარელმა ლეგებმა წაართვეს თუშებს ბაირადი და მიართვეს თ. ნაკაშიძეს, მაგრამ თუმცა ვერავინ დააჯერეს, რომ ეს იმათი უნარი იქო და არა თუშებისა, — მაინც ბაირადი ავარელებს შერჩათ. აიღეს სოფელი, ამ აღებას იერიშით აღებას უწოდებენ თურმე. ერთი გამარჯვება ეს გახლდათ. ის ხუთი ლეგებისაც მიდის ნელა-ნელა სერზედ. ამ ამბავში თუშებმა წამოუარეს ასახოს მთას და რაც ცხვარი იქო სულ გაირექს. დღესაც არ ვიცით რაიქმნა ის ცხვარი და ვისი იქო და ვისი არა.

ჭიროელი.

(შემდეგი იქნება.)

## ბრძოლა რომის დასაპყრობლად

(შეძებვა) \*)

გონიტანტინოზოლში.

ბიზანტიაში ლამაზად მორთულს ოთახში ორი კაცი იჯდა ერთად. მათგანი ერთი სახლის პატრონი იყო და ზედა-ზედ უსხავდა სტუმარს ღვინოსა მარცხენითა, რადგანაც მარჯვენა ხელი აღარა ჰქონდა, ასე რომ მარცხენა ხელის მაგიერ ცარიელი სახელოლა ეკიდა.

— დიახ, ჰსტევა სახლის პატრონმან: ყოველი მოძრაობა მომაგონებს ხოლმე ჩემს სულელობას. ხოლო რაც მოხდა, მე იმაზედ არა ვწუხვარ. ის სულელობა ჩემის გულის სულელობა იყო და სწორედ გითხრა, ბედნიერია ის ვისაც მაგისთანა სულელობა ჰლირსებია და ნიჭადა აქვს. დედა-კაცის სიყვარულისათვის მე თავისდღეში დიდი მნიშვნელობა არ მიმიცია. ჩემს სიყვარულს სახელად ჰრემევია და ჰქვიან კიდეც: ბელიზარი!.. ტუჩს რად იბრეცამ, მეგობარო! მე თვითონ ვიცი ყოველივე სისუსტე და ნაკლი ჩემის გმირისა და გულის სულელობაშიაც სწორედ ეგ არის ძვირფასი; ვინც გვიყვარს, იმისი ნაკლულოვანობა იმ რიგადვე საამოა, როგორც ლირსება სხვა უცხო კაცისა. ბოლოს დროს რომ სპარსეთთან ომი გქონდა, მე, ვურჩევდი ინ მხნეობით ლომსა და გულით კი ბავშვსა, რომ მარტო ნუ შეხვალ ამ გაბურულ და უცნობ ტყეში მეთქი; მაგრამ მაინც თავისი ჰქმნა და შეერია ტყეში ის მტრედსავით გულ-უბრყილო და უგუნური კაცი. რასაკვირველია, გონიერმა სულელმა პროკოპიმაც უკან არ დაიხია და თან გაჰყვა. სწორედ ისეც მოხდა, როგორც მე წინადვე ვამბობდი. ტყეში ჩასაფრებულიყვნენ სპარსელნი, ყოველ მხრიდამ წამოგვახალეს ისრები. ბელიზარს ცხენი მოუკლეს, მე მივესწარ, შევიმაგრე ბელიზარი რომ არ დაცემულიყო და ამასთანავე მასზედ ხმალამოწვდილს სპარსელს ხმალს ხელი აუკარ. მადლობა ღმერთს! ამით გადავარჩინე, თორემ თავს შუაზედ გაუხეთქდა, მხოლოდ თვით პრაკოპის კი მკლავი მოჰკვეთეს: ისე კარგად მომაშორეს ეს მარჯვენა მკლავი, ასე მგონია თავის დღეში არც კი მქონიაო.

\*) „კურა“ №№ 19, 21, 22, 23, 24 და 28.

— მართლა რომ ჰსთქვას კაცმა—განაგრძო პროკოპიმ სიტყვა: ჩემს ხელს ახად მოუვიდა. ამ ხელს ბევრი რამ დაუწერია გამოუსადეგი და მოუფიქრებელი. მართალია,თუ ამისთანა სასჯელი მიადგება ყოველს მწერალს ბიზანტიაში,კაცი არ დარჩება იმისთანა რომ წერის უნარი ჰქონდეს და ორივ ხელი კი ზედ შერჩეს. თუმცა ეხლა მძიმედა ვჰსწერ,მაგრამ ყოველს სიტყვას უფრო დიდხანს დავაფიქრებდი ხოლმე და ვიკვლევ—ლირს დასაწერად,თუ არა.

— მე დიდის საამოვნებით წავიკითხე,უპასუხა სტუმარმა: შენი აღწერა ომებისა ვანდალებთან, სპარსელებთან და გოთებთან. მე მარტო ეს მიკვირს,შენაქამომდე რატომ არ გაუგზავნიხართ ხერსონესის მაღნების სათხრელად ჩვენს მეგობარ პეტროსასთან ერთად. თუ იუსტინიანე აგრე სასტიკად ჰსხის ტყუილის ოქმების შედეგენისათვის, მართლის დაწერისათვის უფრო სასტიკად არ უნდა მოქცეულიყო?

— ნუ გეშინიან, არც მე გადვურჩი სასჯელსა, ჰსთქვა პროკოპიმ: იუსტინიანემ შემარჩინა თავი მხრებზედ, მაგრამ ლამოდა პატიოსნება ჩამოერთმია ჩემთვის. იმოდენად თვითონ არა, რამოდენადაც მისი მშვენიერი ქაფი ამას ჰსცდილობდა. ჩემს წიგნში მე ვანიშნე მკითგველს, რომ იუსტინიანე თავის ცოლის მახეშია გაბმული და ცოლს სურს ბატონობა, ხოლო ისე კი, რომ არავინ აზრს არ მოვიდეს. როცა ჩემი თხზულება ქვეყნად გამოვიდა, თეოდორამ დამიბარა. როცა მის ოთახში შეველ და მის წინ დავინახე ჩემი წიგნი, მაშინვე ეს ვიფიქრე: სპარსელმა მომკვეთა ხელი, რომელმაც ეს წიგნი დასწერა და ეს დედაკაცი კიდევ მომკვეთს თავს, რომელმაც ეგ წიგნი მოისაზრა. მაგრამ მარტო ის იქმარა, რომ გამომიშვიდა ოქროს წულით მორთული პატარა ფეხი საკოცნელად, მშვენივრად გამიღმია და მითხრა: „შენ, პროკოპივ, ძალიან საუცხოვოდა ჰსწერ ბერძნულად, საუცხოვოდ და ყოველსფერს მართლად!.. მე მირჩიეს წამებანებინე შენ ბოსფორს თევზთა საზრდოდ, მაგრამ ვიფიქრე, რომ რომელსაც ეგრე კარგად ჰსცოდნია მწარის თქმა, კარგადვე ეცოდინება იმის თქმაც, რაც ჩვენ გვიამება. კარგი მაყინვებელი და მძრახველი

იუსტინიანესი კარგი მაქებარიც უნდა იყოს მისივე. სასჯელად იმ წიგნისაგამო, რომელიც იმპერატორის საომარს საქმეზედ დაგიწერია, შენ უნდა დაჰსწერო სხვა წიგნი მის სამშვიდობო საქმებზედაც,—სახელდობრ, მასზედ რაც შენობები აუგია. ვიცი დამეთანხმები რომ მისგან აღმართული შენობანი სახელოვანნი არიან. შენ რომ კანონის მცოდნე იყო, ზედ დაურთავდი ქებას მის კანონ-მდებლობისათვისაც. (ეს კი მართალი ჰსთქვა იმ მშვენიერმა სატანამ.) მაშ შენ ვით ცოცხალი მაგალითი იუსტინიანეს სულგრძელებისა, აღასრულებ ჩემს შემოკვეთილს. თვითონ შენციცირიზომუწინდელის იმპერატორების ღროს არა ერთს მწერალს, უფრო უმცირეს დანაშაულობისათვის, წართმევია თვალი, ცხვირი და სხვა ასონი, რომელთ მოშორება ძალიან სასიამოვნოარ უნდა იყოს. დაიხსომე, რომ თუ შენ არ მოიწონებიუსტინიანეს ნაშენობებს მაგისთანას უგემურებას დიდხანს ცოცხალი ვერ გადურჩები; იმის ცდაში და ზრუნვაში მე ვიქნები,—რომ ღმერთთა დაგსაჯონ შენ სიკვდილითა. ეხლა კი იუსტინიანე ჯილდოდ გაძლევს შენ სენატორობას, ეგ ჯილდო მე მოგიხერხე, ჩემი მაღრიელი აყავ: მე მინდოდა, თვით შენზედვე ამხდარიყო შენივე სიტყვები, რომ „თეოდორას ყოვლად—შემძლებელია და ბოროტი გავლენა აქვსო.“ ამის შემდეგ კიდევ ფეხს მაკოცნინა და კოცნის ღროს პატარა ოქროს წულა ამომკრა სახეში და დამითხოვა. მე კი კინაღამ ანდერძის დაწერას ხელი არ მივყავ, რომ ამ,—დედაკაცის სახეში განხორციელებულს,—სატანასთან მოვდიოდი. კაცმა მართალი უნდა ჰსთქვას, წუნით მოხსენება იუსტინიანის ნაშენობისა უსინიდისობა იქნება. ან უნდა სულ ხმა არ ამოვიღო, ან უნდა ვაქო. თუ ხმას არ ამოვიღებ—სიცოცხლეს გავეყრები, თუ ხმას ამოვიღებ და არ ვაქებ სიცოცხლესაც უნდა გამოვესალმო და სინიდისსაც. მაშასაღამე ორში ერთი დამშთენია: ან ქება, ანუ სიცოცხლეზედ ხელის აღება. მე ისეთი სუსტი ვარ, ამოიოხრა პროკოპიმ, რომ პირველს ვრჩეო და... ამის გამო ცოცხალიც ვარ.

— განა არ შეიძლება ნაშენობებიც უქო, უთხრა სტუმარმა, დაისხა რა ხელახლად ღვინო:

და ამასთანავე დაწერო საიდუმლო ისტორია იუსტინიანისა და თეოდორას სამარცხვინო საქმევბზედაც?

პროკოპი ფეხზედ წამოვარდა.

— ეშმაკური აზრია, მაგრამ დიდი აზრია! დაი-ძახა პროკოპიმ: ეგ აზრი, მევობარო ჩემო, სწო-რედ შენი ღირსია. ერთი რამ კი მაწუხებს: მე ვერ შევიძლებ ყველაფერი დაწვრილებით აღვსწერო მთელი ჭუჭყი მაგ ისტორიისა გამოვფინო; ზიზღი, ყოველს ღონეს წამართმევს. ან რას იტყვის შთამომავლობა პროკოპიზედ, რომელიც ერთის მხრით იუსტინიანის ქებას დაჰსტოვებს და მეორის მხრით მის საქმეთა განსჯას და მის სამარცხვინო საქციელთა ამბავსა?

— ამას იტყვის: პროკოპი უპირატესი და უდიდესი ისტორიკოსი ყოფილაო და ამასთანავე იგი ყოფილა ნაყოფი და სხვერპლი ბიზანტიის იმპერიისათ. ეხლა ერთი ეს მითხარ: ეს ბოლონდელი ომი სპარსელებთან ბელიზარის როგორ მოუხდა

— ისე მოუხდა, რომ ბელიზარიმ, ჩვეულებისამებრ, გაიმარჯვა, დაამარცხა სპარსელები და შერი-გებაზედ ლაპარაკი დაიწყო თუ არა ყეინთანა, მოვიდა არებობიდი და მოუტანა ამბავი, რომ უბელიზარიოდ ბიზანტიაში საქმეც გაუთავებიათ სპარსელებთან და ექვსის თვით შერიგებულან. იუსტინიანეს ფული უჭირდა; თითქო ბელიზარის ველარ ენდოო და ექვსი ათასი ლიტრა ოქრო გამოართო და მახეში გაბმული ყეენი ხელიდამ გაგვაშვებინა აი ნარჩესი ამისთანა შემთხვევაში ჩვენზედ ჭკვიანად მოიქცა. როცა ნარჩესი არაბებს ეომებოდა, მაგისთანავე ამბით და ბძანებით ეწვია არებინდი ნარჩესმა იმპერატორის ბძანებას ყურიც არ ათხოვა უბძანა და საპყრობილები დაამწყვდევინა იმპერატორის მოციქული, თითონ კი განაგრძოომი, ვიდრე სრულებით არ დაამარცხა არაბი. მაშინ გამოუშვა საპყრობილებამ მოციქული და გაისტუმრა სიზანტიის დიდის ბოდიშითა. უკეთესადღა შეიძლებოდა ბოდიშის მოხდა როგორც ნარჩესმა მოიხადა: სამოც-და-ათი ციხე და ქალაქი აიღო, და ყოველივე მათი განძი დაინარჩუნა.

— ეგ ნარჩესი....

— თანამედროეთა შორის ყველაზედ უდიდესი კაცია, ჩამოართვა სიტყვა პროკოპიმ: ასე რომ შენზედაც, ჩემო ცეტეგ, რომის პრეფექტო! იგი შეუძლებელს არ შეეჭიდება ხოლმე ჩვენსავით. ჩვენ კი, ე. ი. ბელიზარი და კოჭლი პროკოპი, დავბრუნდით ბიზანტიის გულნატენად და კბილთა ღრჭენით და მაინც უწინდელებ დავშთით ჭკვამოუპოვენელად და ძალისაებრ ერთგულად. კიდევ კარგია, ანტონინა, ბელიზარის ცოლი აღარ ეტრფიალება ყმაწვილ კაცების თაიგულებსა და ლექსებსა და ეხლა ეს ცოლ-ჭმარნი, ლომი და გვრიტი, ბედნიერად სცხოვრებენ აქ რომში. ბელიზარი სულ იმის ლოდინშია—აცა ერთი შემთხვევა რამ მომეცეს, რომ ჩემი ერთგულება იუსტინიანეს ხელახლად დავუმტკიცოო. იუსტინიანე მისი ტრფიალების საგანია ისე როგორც ჩემია ბელიზარი. ახლა შენ მიამბე შენი ამბავი: რამ მოგიყვანა აქ?

ცეტეგმა უსვენებლივ გადაყლაპა ღვინით საგსე ჭიქა. მის სახეს დაჩნდეული ჰქონდა ნიშნები ღრმა ფიქრებისა და მწუხარებისა. საფეთქლებზედ კანი ნაოჭად შეჰკეცოდა. მოკუმშულს ბაგეზედ ხანდისხანგაურბენდა ხოლმე დამაცინარი ღიმილი, რომელიც ძალიან უხდებოდა და აყმაწვილებდა. თვალებს ჩვეულებრივ ნახევრად ახილებდა ხოლმე და თუ გაახილებდა სრულიად, ისიც ერთს წუთს. მაშინ თვალთ მეტყველება მისი საშიშარი იყო; მისი თვალი თავიდიმ ფეხამდე განსჭვრეტდა ხოლმე და სიცივით შეაურუოლებდა მას, ვისაც თვალს მიაქცევდა. მისი სახის მეტყველება ამბობდა, რომ იგი უგულოა და შეურყეველი.

— შენ ხომ იცი, ჰათქვა ცეტეგმა: რომ მე ჩემის თვალით ვნახე დაცემა რომისა, კაპიტოლიისა, ჩემის სახლისა. მე გადამარჩინეს რაღაც სასწაულით ჩემთა კეთილ-მყოფელთა. აი ეხლა აქ მოვსულვარ, რომ იუსტინიანეს მოვაგონო რაც აღმითქვა, იტალიას განვათავისუფლებ გოთთაგანაო. მე არ მოვეშვები, ვიდრე თავის იღთქმას არ აასლულებს.

— მაშ შენ დიდი ხანი და დრო მოგინდება, თუ მაგას მოუცდი.

— მეც ეგრე მგონია. რასაკვირველია მე უფრო თეოდორას იმედი მაქვა. ჩვენ ჭერ ახალგაზდები ვიყავით, რომ ერთმანეთს ვიცნობდით და

ერთმანეთის ფასიც ვიცოდით. თეოდორა იყო ისეთი შშვენიერი ქალი, რომ იქნობამდე მისებრი არ მენახა, და მე.... მე ვიყავი.....

— შენ იყავ ცეტეგი, ეგეც სამყოფია, ჰსთქვა პროკოპიმ.

— თუმცა თეოდორა ჩემთან კარგად არის გაწყობილი, განაგრძოცეტეგმა: მაგრამ მაინც ომის უარზედა დგას. იგი ამბობს, რომ ეკდლესიების აშენება უფრო სათნო საქმეა, ვიდრე ქალაქების აოხრებაო. მე იმ დედა-კაცისა ვერა გამიგია რა.... საიდამ და როგორ გამოიცვალა ეს? ჯერ კიდევ იმოდენათ სიბერე არ მორევია, რომ თვის მგზავას დედა-კაცების ჩვეულებას აჰყვეს და სულის ცხონებას შეუდგეს ესე იგი, კი პრიდას გამოეთხოვოს და გოლგოთას მიჰმართოს.

— განა შენ არ შეგიტყვია ის, რაც შენ და იუსტინიანეს გარდა, სხვამ ყველამ იცის? ჰსთქვა პროკოპიმ: მშვენიერი ხელმწიფა ავად-მყოფია, საშინელი ტკივილები ჰსტანჯვენ. შენ ეს გიკვირს თუ? დიახ იგი იტანს ამ ტკივილებს, უმაღავს კიდევ იუსტინიანეს და ამისთვის ხმარობს კაცისაგან დაუჭერებელს მხნეობას. უმაღავს იმიტომ რომ ამ უდიდესს და უმცირესს კაცს თავ-მოყვარეთა შორის ჰსტულს ყოველი სწეული: იგი ვერ იტანს თვის ახლო-მახლო ყოველს მას, რაც მომავლინებელია ტანჯვისა და სიკვდილისა: ხომ ესე დალაგმული ჰყავს თეოდორას იუსტინიანე, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ შეიტყოს ავათ-მყოფობა თეოდორასი. მაშინვე თეოდორას თავს უკრავს და საღმე შორეულს ქალქში გაისტუმრეს იმ სახით კი, რასაკვირველია, ვითომც მისის მორჩინის გულმტკივნეულობაში და ფიქრშია. ამიტომაც თეოდორა ჭოჭოხეთის ტანჯვას ითმენს პირზედ ღიმილით. საშინლად უნდა ატარებდეს ღამებს; დღისით კი, იმპერატორის წინაშე, სადილზედ, თუ საყდარში ან საჯაროდ გამოსვლაზედ იგი გასაოცებლად თავს იმაგრებს და ჰავარავს ყოველს ფერს. თვით მის სიტურფესაც ბევრი არა ღაპტებია რა აურაბელის ხელოვნების შემწეობისაგამო. თითქო უფროგანაზღა, მაგრამ მის უფლების-მოყვარეობას სამზღვარი კი აღარა აქვს. საკვირველი დედა-კაცია! მართალია, — თუმცა წვრილმან საქმეებში

არა უგვანის ღონისძიების ხმარება არ ეთაკილება, მაგრამ მძიმე სახელმწიფო საქმეებში კი იგი იქცევა თანხმად თავისის რწმენისა.

— ეგ მართალია. იმპერატორი მზად იყო კიდევ გოთთა მეფის პირობების მისაღებად. თეოდორა ომის თაობაზედ დიდს უარს ამბობდა და მე მეგონა კიდევ, აი ყველა იმედი დაგვემხო მეთქი. მაგრამ უცებ ფიქრად მომივიდა: ხომ ღვთის მოყვარეობაზედ თავსა ჰსდებს, მოდი ამით როგორმე შევაგულიანებ მეთქი. მე მაშინვე გავეშურე თეოდორასაკენ. სწორედ ის დღე იყო, როცა იუსტინიანეს უნდა თავისი გარდა წყვეტილება გამოეცხადებინა გოთთა მოციქულებისათვის. „შენ ყოველს შენს განძსა და ნივთეულობას ეკდლესიების აშენებაზედ ხარჯავ, ვუთხარ მე თეოდორას: მაგისთანა ეკდლესიები ვჰსთქვათ ასი ააშენო, მეტს ხომ ვერ ააშენებ. აბა ეხლა იფიქრე: იტალია რომ გოთებს დარჩეს, ამით რამდენი ათასი ეკდლესია ჩაუვარდებათ ხელში იმ რჯულიდამ გადამდგართა არიანელთა. ნუ თუ შენა გგონია, რომ შენმა ასმა ეკდლესიამ იმ ათასის ადგილი დაიჭიროს?, ამის თქმამ გასჭრა. თეოდორა წამოხტა ტახტიდამ და ჰსთქვა:

— „არა, მე მაგისთანა ცოდვას არ ჩავიდენ. თუ ჩვენ ვერ შევიძლებთ, რომ ის ეკდლესიები ჩამოვართვათ იმ რჯულ-გამდგარებს, ამას მაინც ვიზამთ, რომ ჩვენის ნებით არ დაუთმოთ. არა, იმპერატორი ნებაყოფლობით ვერ დაუთმობს მათ იტალიას. გმადლობ, ცეტეგ! წმინდანი შეგვინდობენ რაც ყმაწვილობას ჩვენ შეგვიცოდნია, რადგან შენ ეხლა უმძიმესის ცოდვისაგან დამიხსენ.“ ამის მემრედ მოიწვივა იმპერატორი საღილზედ, აავსო ყვავილებით, ლოცვით და კოცნით, აუნთო გულში სიყვარული ქრისტესი და იქამდინ მიიყვანა, რომ იუსტინიანე შერიგებაზედ გოთთა მოციქულებსა უარი უთხრა. შერიგება ვსთქვათ, რომ გადიდვა, საქმე იმაშია რა გზით გავაბედვინოთ იუსტინიანეს ომი? აი ეს არ ვიცი. მაგრამ იმედია ამის გზასაც ვიპოვი. რომი უნდა განთავისუფლებულ იქმნეს ბარბაროზთაგან.

(ჟეჟეზ ფერა.)

**სახელმძღვანელო, შედგენილი**  
ი. ბოგებაშვილისაჩან.

**ქართული ანბანი** და ბირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ახალი ვრცელად და შეცვლილი გამოცემა, ფასი ორი შაური. ისეიდება გამომცემლის გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში ქუპის ხიდთან. ვინც ნაღდ უკლებედ ასე, ან მომეტებულს ეგზემპლარს ერთამავად იუიდის, იმას ეგზემპლარი დაეთმობა 9 კაბეიგათა.

**დარიგება** მასწავლებელთათვის შესახებ ხმა-რებისა წინეთ მოხსენებული წიგნისა, ფასი ერთი შაური, ისეიდება იქვე და მელიქიშვილის სტამბაში.

**დედა მენა**, ანუ ანბანი და ბირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შეოლებში სახმარებელი გამოცემა ბირველი, შემცელი მრავალი სურათებითა, ფასი ქქსი შაური, ედაში გადაკრული ცხრა შაური, ისეიდება ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ქუპის ხიდზედ ვინც ნაღდ უკლებედ იუიდის ერთათ ოც და ათ ეგზემპლარსა, ან მომეტებულსა, იმას დაეთმობა უკლებული ეგზემპლარი ხუთ შაურათ, ედიანი ორ აბაზათ.

**ბუნების გარი**, ანუ საკითხავი წიგნი დაბალ კლასის სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემცელი სურათებითა და საქართველოს კარტითა, ფასი სურმეტი შაური. ისეიდება ვართანოვის მაღაზიაში. ეგზემპლარი დაეთმობათ თოთხმეტ შაურათ, ვინც თხუთმეტ ეგზემპლარს ერთათ ნაღდ უკლებედ იუიდის, ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღიბს ოც და ეგზემპლარსა და სამ აბაზათ ას ეგზემპლარის ერთათ მეოდეველსა. ვისაც სურს ედაში ვარდაკრული მიიღოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

**საყმაფვილო კონა ბირველ დაწესებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან**, გამოცემა ბირველი, ფასი ექვსი შაური. ისეიდება თფილისში ვართანოვის და გრიქუროვის მაღაზიებში და ქუთაისში სვიმონ ხომახიძესთანა.

ისეიდება უფ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ქართული წიგნი გლოვა მივარევ მიორისა გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან. ფასი ერთი შაური.

**თრის თვის ანგარიში**

რუსის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა იგნისისა და ივლისისა 1877 წლისა შემოწმებული და დამტკიცებული რჩევისაგან 19 აგვისტოს ამ წელსა.

ნოტ	შემოსავალი:	მან.	კან	ნოტ	გასავალი:	მან.	კან
1	წლის ფელი 108 წევრისა . . . . .	438	35	1	გასესხებული . . . . .	1433	35
2	სარგებელი წინად დაჭრილი . . . . .	95	55	2	სარგებელი წინად ნასესხების დაბრუნება .	1	38
3	სარგებელი ახალ გადაზე მიცემული . . . . .	—	10	3	მმართებლობის და დაწესების სარჯი . . . . .	79	—
4	დაბრუნებული ნახესი . . . . .	45	—	4	სარგებელი გადახდილი მმართებლობისაგან ნირველის ნახესის ფელისა . . . . .	30	—
5	შესანახავათ შემოტანილი . . . . .	200	—	5	კასაში არის . . . . .	235	8
6	ნახესი ამხანაგობისაგან ბირველად . . . . .	1000	—				
7	სათადარიგო თანხა . . . . .	—	20				
	ჯამი . . . . .	1779	—		ჯამი . . . . .	1779	—

რჩევის თავსმჯდომარე: თ. ნ. დიასაძიძე.

რჩევის:   
 წევრი:   
 გრანატა ბეჭანაშვილი.  
 გოგია გაგლელაშვილი.  
 გიორგი მამაცოვანი.

წევრი  
გამგებლობისა:   
 შინებილ კლიმიევი.  
 სოსე დებრიძეშვილი.  
 ქსტატე ბუნების მართვილი.

Дозволено цензурио. Тифлисъ, 14 Сентября 1877 г. Типография Е. Хеладзе. რედაქტორი და გამოცემებითი იუდი ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდეის ავტორი,  
რედაქტორ-გამოცემებილი ნუგზარ ჭავჭავაძე

სარედაქციო ჯგუფი: ნელი კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნიაძე, დალი გოჩიტაშვილი, თამუნა დვალი,  
მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხარევარი, ბუბა არაბული, დაზანინერი დაშა ჩხერიძე

პროექტი: ივერია – ტანავაშვილი და მამაცოვანი

აროეტის მხარემშევრი საქართველოს არამატების ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ივერია“ აღღგენილია, – გამომოგებითი გამოცემა და აღმაგულია 2011 წლის 2 აგვისტოს

მამაცოვანი გავს „საქართველო სახლ ეკის ეკის“ საიდენტიფიკაციო №404852174

მისამართი: გ. ლეონიძის 11ს; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com